2014 წლის ოქტომბერში მიგრაციის საკითხთა სამთავრობო კომისიის სამდივნომ მიგრაციის სტრატეგიის ახალ დოკუმენტზე დაიწყო მუშაობა 2016-2020 წწ პერიოდისთვის. აღნიშნულ სამუშაოში შევა მიგრაციის პროფილის განახლება, რაც საფუძველი გახდება პოლიტიკის შემუშავებისთვის, კარგი პრაქტიკების მოძიებისა და ანალიზისთვის, სხვა ქვეყნებში მიგრაციის პოლიტიკის სტრატეგიული დოკუმენტების მხრივ და ა.შ. აღნიშნულ ინიციატივას მხარს უჭერს ICMPD ENIGMMA პროექტი. ამ პროცესში შესაბამისი საერთაშორისო და ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციებიც ჩაერთვებიან.

წყარო: მიგრაციის საკითხთა სამთავრობო კომისიის სამდივნო

ვინ ვინ არის? საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო

საგარეო საქმეთა სამინისტრო მიგრაციის საკითხთა სამთავრობო კომისიის აქტიური წევრია და ის საქართველოში მიგრაციის მართვის პროცესში, კერძოდ კი სახელმწიფოს სავიზო პოლიტიკის ფორმულირებასა და განხორციელებაში მონაწილეობს. საგარეო საქმეთა სამინისტროს ინიციატივით, ევროკავშირის მიერ დაფინანსებული პროექტის „საქართველოს სახელმწიფო ინსტიტუციების დახმარება ევროკავშირისა და საქართველოს შორის რეადმისიის ხელშეკრულების იმპლემენტაციისათვის“, ფარგლებში, რომელსაც IOM ახორციელებს შეიქმნა რეადმისიის საქმეების წარმოების ელექტრონული სისტემა. საგარეო საქმეთა სამინისტრო ასევე წარმოადგენს საკოორდინაციო ორგანოს ვიზის ლიბერალიზაციის სამოქმედო გეგმის განხორციელების მხრივ. „უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ საქართველოს ახლად მიღებული კანონის თანახმად, საგარეო საქმეთა სამინისტროს ვიზების გაცემის ექსკლუზიური კომპეტენცია აქვს მინიჭებული რომელსაც იგი საზღვარგარეთ არსებული საკონსულო სამსახურების მეშვეობით ახორციელებს. აღნიშნული დავალების სათანადოდ შესრულებისთვის სამინისტრომ სპეციალური ვებგვერდი გახსნა www.geoconsul.gov.ge IOM-ის და ICMPD-ის დახმარებით. ვებგვერდის მიზანია საქართველოს მოქალაქეებს და უცხოელებს დაეხმაროს საკონსულო მომსახურების მიღებაში, სადაც სავიზო პროცედურები მთელი სისტემის შემადგენელ ნაწილს წარმოადგენს. მასში ასევე ბევრი ინფორმაციაა მოცემული საკონსულო სამსახურების მუშაობის შესახებ. თუმცა, მთავარი სიახლე არის ვირტუალური ელექტრონული სისტემა (სავიზო ელექტრონული სისტემა და ონლაინ განაცხადი). ამჟამად ვებგვერდის მიზანია დაეხმაროს უცხოელებს, რომლებსაც საქართველოს ვიზის მიღება სურთ. 2015 წლის 1 იანვრიდან აღნიშნული სერვისი საქართველოს მოქალაქეებისთვისაც ამოქმედდება.



გამართა მიგრაციის და მედიის საკითხებზე საქართველოს სახელმწიფო უწყებების საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერებისთვის. აღნიშნული ღონისძიება ENIGMMA-ს 2014 წლის საინფორმაციო კამპანიის ფარგლებში იქნა ორგანიზებული. ტრენინგის მიზანი იყო საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერებისთვის საქართველოში მიმდინარე სხვადასხვა პროცესები გაეცნო მიგრაციასთან დაკავშირებით, როგორცაა სავიზო რეჟიმის ლიბერალიზაციის სამოქმედო გეგმა, სავიზო დიალოგი, ახალი წესები და რეგულაციები „უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ კანონის ფარგლებში, ევროკავშირსა და საქართველოს ცირკულარული მიგრაცია, საერთაშორისო პროექტები, თანამშრომლობა ევროკავშირსა და საქართველოს შორის და სხვ. ამას გარდა, ყველა მსმენელმა მიიღო მონაწილეობა სტრატეგიების და მიდგომების თემაზე გამართულ სხვადასხვა სამუშაო ჯგუფებში, უშუალოდ მათი ინსტიტუციების შესაბამისად. ტრენინგებს შორის იყვნენ საქართველოს მთავრობის წარმომადგენლები, ასევე საერთაშორისო ექსპერტებიოქსფორდის უნივერსიტეტიდან.

თანამშრომლობა დიასპორის სამინისტროსთან

ENIGMMA-ს პროექტმა სამი ადგილობრივი ექსპერტი დაიქირავა მოკლე ვადით, რათა მათ დახმარება გაეწიათ დისტანციური სკოლის სასწავლო პროგრამის მომზადებაში დიასპორის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატისთვის. ექსპერტებმა ქართული ენის სასწავლო გეგმა (დამწყებთათვის) და დისტანციური სწავლების კომპიუტერული პროგრამაც შეიმუშავეს, სახალისო სწავლების და სასწავლო მეთოდების საფუძველზე. ერთ-ერთ უცხოურ ქვეყანაში ქართული ენის სასწავლო პროგრამის პილოტირების შემდეგ, დიასპორის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი გადაწყვეტს, შემუშავდეს თუ არა პროგრამის შემდეგი დონე.

ENIGMMA-ს 2014 წლის საინფორმაციო კამპანია

2014 წლის სექტემბერ-ნოემბერში პროექტის ENIGMMA ფარგლებში განხორციელდა საინფორმაციო კამპანია, რომლის მიზანი იყო საზოგადოების უფრო მეტად ინფორმირება მიგრაციის სფეროში საქართველოსა და ევროკავშირის თანამშრომლობისა და საქართველოში მიგრაციის მართვის მხრივ ბოლო დროს განვითარებული მოვლენების შესახებ. კამპანია ზოგადად ყურადღებას ამახვილებდა ევროკავშირსა და საქართველოს შორის ურთიერთობებზე და ხელს უწყობდა ინფორმირებულობის დონის ამაღლებას ევროკავშირსა და საქართველოს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმების და შესაბამისი დღის წესრიგის, სავიზო რეჟიმის ლიბერალიზაციის სამოქმედო გეგმის განხორციელებაზე, ადამიანების თავისუფალ გადაადგილებასა და მიგრაციასთან დაკავშირებულ შესაფერის საკითხებზე. კამპანიის ფარგლებში შემდეგი ღონისძიებები დაიგეგმა:

- ფოტოკონკურსი სამ მთავარ კატეგორიაში: „იპოვეთ ევროკავშირი საქართველოში და იპოვეთ საქართველო ევროკავშირში“; „რა არ იცის ევროპამ საქართველოს შესახებ?“, და „მიგრაციის გამოცდილება“. სამივე კატეგორიაში გამარჯვებულ პირებს პროფესიონალ ფოტოგრაფთან ფოტოსესიას შესთავაზებენ. თითოეულ კატეგორიაში შერჩეული ოთხი საუკეთესო ფოტო ENIGMMA-ს პროექტის 2015 წლის კალენდარში გამოქვეყნდება;



- საბაზისო ტრენინგი მიგრაციის საკითხებზე სხვადასხვა ინსტიტუციების საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერებთან, ტრენინგი გაიმართა 2014 წლის 8-10 ოქტომბერს;
- 2014 წლის 15 ნოემბერს დაგეგმილი საინფორმაციო ღონისძიება საინფორმაციო დღის სახით გაიმართა. ღონისძიებაში აქტიურად მონაწილეობდნენ ევროკავშირის დელეგაცია საქართველოში, აკადემიური წრის წარმომადგენლები, სახელმწიფო მინისტრის აპარატი ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში, საგარეო საქმეთა სამინისტრო და სხვა შესაბამისი მოქმედი პირები. მოლდოვას რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროდან მოწვეულმა ექსპერტმა სავიზო საკითხებში, თავისი ქვეყნის გამოცდილება გაუზიარა მსმენელებს მოლდოვას რესპუბლიკაში სავიზო რეჟიმის ლიბერალიზაციის სამოქმედო გეგმის განხორციელებასთან დაკავშირებით. ამ ღონისძიების მთავარი სამიზნე ჯგუფებს წარმოადგენდნენ სტუდენტები, საჯარო მოხელეები და სხვა პირები, რომლებსაც ევროკავშირსა და საქართველოს შორის მიგრაციის განვითარება და პერსპექტივები აინტერესებდათ;
- 16 ნოემბერს საერთო საზოგადოებისთვის გაიმართა არაოფიციალური საჯარო ღონისძიება, სადაც განსაკუთრებული ყურადღება ბავშვებს და ახალგაზრდებს დაეთმო. ღონისძიების ფარგლებში ახალგაზრდა მუსიკოსების და მოცეკვავეების შემოქმედებითი წარმოდგენები გაიმართა და ENIGMMA-ს ფოტოკონკურსის სამივე კატეგორიაში გამარჯვებული ფოტოები გამოიფინა. ასევე გაიმართა დაჯილდოების ცერემონიალი, ვიქტორინები და თამაშები ახალგაზრდა მონაწილეებისთვის. ამას გარდა, დაინტერესებულ პირებს მიაწოდეს ინფორმაცია სტუდენტების გაცვლითი პროგრამების და მობილურობის შესახებ ევროკავშირის პროგრამების ფარგლებში. ასევე გავრცელდა ზოგადი და კონკრეტული ინფორმაცია ევროკავშირსა და საქართველოს შორის ასოცირების შეთანხმების და სავიზო რეჟიმის ლიბერალიზაციის სამოქმედო გეგმის შესახებ.



ENIGMMA-ს გუნდთან ერთად მონაწილეები ავსტრიელ მკვლევრებს და საჯარო მოხელეებს შეხვდნენ სხვადასხვა უწყებებიდან, მაგ: ვენის უნივერსიტეტი, საგარეო საქმეთა სამინისტრო, შინაგან საქმეთა სამინისტრო, ადამიანის ძირითადი უფლებების უწყება, ავსტრიის სტატისტიკის სამსახური, ავსტრიის შრომის სამინისტრო, ავსტრიის ინტეგრაციის ფონდი, UNODC, ლუდვიგ ბოლცმანის ინსტიტუტი, რომელიც ავსტრიაში პირდაპირ ან ირიბად არის ჩართული მიგრაციის მართვაში. აღნიშნული ღონისძიებების გარდა, სტაჟიორები ასევე დაეწინეს ტრენინგს ისეთ თემებზე, როგორიცაა სტატისტიკა და თავშესაფარი, ადამიანებით ვაჭრობა (ტრეფიკინგი), მიგრაცია და განვითარება. აღნიშნული ინტენსიური პროგრამის შედეგი იყო უმნიშვნელოვანესი გამოცდილების გაზიარება მიგრაციის მართვის, მეთოდოლოგიის და ინტეგრაციის პრაქტიკების შესახებ.

სამუშაო შეხვედრა წარმოშობის ქვეყნის შესახებ ინფორმაციის საკითხზე

ENIGMMA-ს პროექტის ფარგლებში, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლების და ლტოლვილთა სამინისტროს წარმოშობის ქვეყნის შესახებ ინფორმაციის მოპოვების განყოფილებისთვის ტრენინგი გაიმართა თბილისში, 2014 წლის 22-26 სექტემბერს, წარმოშობის ქვეყნის შესახებ ინფორმაციის მოპოვების განყოფილების ექსპერტების მონაწილეობით პოლონეთის საგარეო საქმეთა სამინისტროდან, ICMPD-ის თავშესაფრის კომპეტენციის ცენტრიდან და საქართველოში UNHCR-ის წარმომადგენლობიდან. ტრენინგის მიზანი იყო საქართველოში წარმოშობის ქვეყნის შესახებ ინფორმაციის მოპოვების განყოფილების სტატუს კვოს შეფასება და სამუშაო გარემოში ტრენინგის ორგანიზება ამ განყოფილების თანამშრომლებისთვის. მისიის განმავლობაში, 24-25 სექტემბერს თბილისში საჭიროებებზე მორგებული სამუშაო შეხვედრა გაიმართა, სადაც თავშესაფრის და მიგრაციის საკითხებზე მომუშავე ქართველმა და პოლონელმა ექსპერტებმა ერთმანეთს გამოცდილება გაუზიარეს იმის შესახებ, თუ როგორ უნდა გამოეყენებინათ წარმოშობის ქვეყნის შესახებ ინფორმაცია მიგრაციის პროცედურებში. თავშესაფრის მადიებლების მიერ მტკიცებულების წარუდგენლობის შემთხვევაში, წარმოშობის ქვეყნის შესახებ ინფორმაცია მთავარი მტკიცებულებაა თავშესაფრის შესახებ გადაწყვეტილების მიმღები პირებისთვის, რათა მის საფუძველზე გადაწყვეტილება მიიღონ.

ტრენინგი კაიროში

2014 წლის 1-3 ოქტომბერს, ENIGMMA-ს პროექტის ფარგლებში, კაიროში (ეგვიპტე) მდებარე ავსტრიის და სლოვენიის საელჩოებში ავსტრიელმა და სლოვენელმა ექსპერტებმა ვიზის საკითხებში ტრენინგი გამართეს საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლებისთვის, საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლების ანალიტიკური შესაძლებლობების გაძლიერებისა და ცოდნის ამაღლებისთვის სავიზო საკითხებზე. ტრენინგის განმავლობაში ქართულ დელეგაციას სავიზო პროცედურების საუკეთესო ავსტრიული და სლოვენიური პრაქტიკა გააცნეს. საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლებს გაუზიარეს საელჩოში დანერგილი უსაფრთხოების ზომები, ასევე ვიზის გაცემის პროცედურები და მექანიზმები: განაცხადის ფორმის წარდგენა; სავიზო განაცხადების დამუშავება და შემოწმება; თითის ანაბეჭდების აღების მეთოდოლოგია და მონაცემები თითის ანაბეჭდების ასაღებად; განაცხადების შეფასება და შეტყობინების ინსტრუმენტი; ვიზის სტიკერის მართვა და ა.შ. მონაწილეებს

აჩვენეს სხვადასხვა გაყალბებული დოკუმენტები და შესაბამისი განმარტება მიაწოდეს, ასევე აუხსნეს ზოგადი მეთოდოლოგია და ინსტრუმენტები გაყალბებული დოკუმენტების ამოსაცნობად. ზოგადად, კაიროში არსებულ საქართველოს საელჩოს მაგალითზე, ავსტრიელმა და სლოვენიელმა ვიზის ექსპერტებმა საქართველოში არსებული ვიზის გაცემის პროცედურები და სავიზო სისტემა შეაფასეს და რეკომენდაციები მიაწოდეს საერთო მართვის გასაუმჯობესებლად.

თანამშრომლობა აკადემიურ სფეროში

2014 წლის 4 ოქტომბერს, ENIGMMA-ს პროექტის ფარგლებში და მიგრაციის საკითხთა სამთავრობო კომისიის სამდივნოსთან თანამშრომლობით, სამუშაო ჯგუფის შეხვედრა გაიმართა, რომლის მიზანი იყო პირველი ყოვლისმომცველი „საქართველოს მიგრაციის სახელმძღვანელოს“ შექმნაზე მუშაობის დაწყება. საქართველოს და ევროკავშირის წევრი ქვეყნების აკადემიის წარმომადგენლებმა, მიგრაციის საკითხთა სამთავრობო კომისიის სამდივნომ და ICMPD-მ მიგრაციის სახელმძღვანელოს ძირითადი შინაარსი განიხილეს და შეათანხმეს. საქართველოს მიგრაციის სახელმძღვანელო დისციპლინათმორის მიდგომას დაეფუძნება და ყურადღებას გაამახვილებს მიგრაციის საკითხებზე სხვადასხვა სამეცნიერო პერსპექტივებიდან, ასევე მიგრაციის სფეროში გამართული კვლევების სრულ და თანამედროვე ანალიზს უზრუნველყოფს და მიმართული იქნება იმაზე, რომ საქართველოს სახელმწიფო და აკადემიური ინსტიტუტების კვლევითი და ანალიტიკური შესაძლებლობები განმტკიცდეს. იმის მიუხედავად, რომ სახელმძღვანელო ძირითადად გამიზნული იქნება აკადემიურ საზოგადოებაზე, სტუდენტების და მასწავლებლების ჩათვლით, ეს ასევე მიგრაციის სფეროში მომუშავე პრაქტიკოსებს, პოლიტიკის შემმუშავებელ პირებს და საერთო საზოგადოებას გამოადგება. ENIGMMA-ს პროექტი, ყველა ჩართულ მხარესთან მჭიდრო თანამშრომლობით, სახელმძღვანელოს შემუშავებას განაგრძობს; წიგნის პირველი ვერსია მზად იქნება 2015 წლის მარტისთვის.

პერსონალურ მონაცემთა დაცვის ექსპერტის მისია საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროში

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ კანონში“ ცვლილებები შეიტანა. ამჟამინდელ ცვლილებებში შედის სამართლებრივი დებულებების გავრცობა უკვე პოლიციის სექტორზეც. ამგვარად, წარმოიშვა საჭიროება, რომ არსებული პროცედურები შესაბამისობაში მოვიდეს პერსონალური მონაცემების დაცვის შესახებ კანონთან, სამინისტროს შემადგენლობაში მიგრაციასთან დაკავშირებულ და ყველა სხვა სფეროებში მონაცემთა დაცვის რეგულაციების მხრივ. სამინისტროში ამჟამად არსებული მდგომარეობის შეფასებისა და რეკომენდაციების შემოთავაზებისთვის იმ ზომების შესახებ, რომელთა მიღება საჭიროა პრაქტიკულ დონეზე კანონთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად, ENIGMMA-ს პროექტმა ევროკავშირის წევრი ქვეყნების ექსპერტი ჩამოიყვანა ჩეხეთიდან. შინაგან საქმეთა სამინისტროში ექსპერტის შეფასების პირველი მისია 2014 წლის 6-8 ოქტომბერს გაიმართა, რის შედეგადაც საბოლოო ანგარიში და რეკომენდაციები მომზადდა.

საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერების ტრენინგი მიგრაციის საკითხებში

2014 წლის 7-10 ოქტომბერს, მიგრაციის საკითხთა სამთავრობო კომისიის სამდივნოსა და საქართველოს იუსტიციის ტრენინგ ცენტრთან მჭიდრო თანამშრომლობით, ICMPD-მ ტრენინგი



უკეთესი პოლიტიკების დაგეგმვის მიზნით, საზღვარგარეთ მყოფი ემიგრატების და დაისპორის თემების დასაცავად; და
გ) საფუძვლის მომზადება დაისპორის და ემიგრანტი თემების პოტენციალის რეალიზებისთვის.

წინამდებარე გზამკვლევის შემუშავების საფუძველი იყო ERGEM-ის პრაქტიკული მაგალითის განხილვა, საქართველოს სახელმწიფო უწყებების წარმომადგენლების ორი სასწავლო ვიზიტი პოლონეთსა და პორტუგალიაში, ასევე ERGEM-ის საინფორმაციო დღეების წარმატებით განხორციელებიდან მიღებული გამოცდილება. მასში აღწერილია მობილური საკონსულტაციო პროგრამის დაგეგმვა რამდენიმე ეტაპად, როგორცაა მობილური საკონსულტაციო პროგრამის შემუშავება, განხორციელება, მონიტორინგი და შეფასება. ის შეიძლება გამოყენებული იქნას როგორც ზოგადი სახელმძღვანელო ყველა მთავრობისთვის, რომელიც კი დაინტერესებულია საზღვარგარეთ თავის დაისპორასთან დაკავშირებით და მათთან მუშაობით. ეს გზამკვლევი ქართველ კოლეგებს პროექტის საბოლოო კონფერენციაზე წარედგინება, რომელიც დეკემბრის თვეში გაიმართება.

ENIGMMA-ს საქმიანობა

საბაზისო კვლევა პერსონალური მონაცემების დაცვის თემაზე

2014 წელს, ENIGMMA-ს პროექტის ფარგლებში, ინოვაციების და რეფორმების ცენტრმა (IRC) „საქართველოში მიგრაციის მართვაში პერსონალური მონაცემების დაცვის საბაზისო კვლევის“ განხორციელება დაიწყო. აღნიშნული კვლევა უდიდესი მნიშვნელობისაა სავიზო რეჟიმის ლიბერალიზაციის პროცესისთვის, რადგანაც პერსონალური მონაცემების დაცვა, საკანონმდებლო-პოლიტიკის ფარგლები და მისი განხორციელება „სავიზო რეჟიმის ლიბერალიზაციის სამოქმედო გეგმის“ მე-3 ბლოკში „საზოგადოებრივი წესრიგის და უსაფრთხოების“ ღონისძიებებით არის გათვალისწინებული. მოცემული კვლევა „სავიზო რეჟიმის ლიბერალიზაციის სამოქმედო გეგმის“ ქვეთავებში პერსონალური მონაცემების დაცვის ორივე ფაზას მოიცავს; და მასში შეფასებულია: (ა) მიგრაციის მართვასთან დაკავშირებული კანონმდებლობა, მონაცემთა დაცვის კანონმდებლობის და საერთაშორისო სტანდარტების გათვალისწინებით, და (ბ) მონაცემთა დაცვის განხორციელება მიგრაციის მართვაში. კვლევის შედეგად სრულყოფილად შეფასდება, თუ როგორ ხდება მონაცემთა დაცვა მიგრაციის მართვაში, გამოვლინდება ის ადგილები, რაც გაუმჯობესებას საჭიროებს და შემოთავაზებული იქნება რეკომენდაციები. აღნიშნული კვლევის განხორციელებას მეთვალყურეობას უწევს ICMPD/ENIGMMA-ს ჯგუფი, ევროკავშირის წევრი ქვეყნების გამოცდილი ექსპერტი და პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის ოფისი საქართველოში.

მიგრაციის მონაცემების მართვის ექსპერტის მისია



18-27 აგვისტოს, ICMPD და IOM ერთობლივი ორგანიზებით ევროკავშირის ექსპერტების მისია იქნა მოწვეული. მისიის მიზანი იყო საქართველოს მთავრობის დახმარება მიგრაციასთან დაკავშირებული მონაცემთა

მართვის ანალიტიკური სისტემის შექმნაში. მისიის განმავლობაში მიგრაციის მონაცემთა მართვის სფეროში დიდი გამოცდილების მქონე ორი ექსპერტი ავსტრიიდან (ICMPD) დანორვეგიიდან (IOM) საქართველოს სახელმწიფო უწყებებს ეწვია არსებული მონაცემთა

ბაზების და მონაცემთა გაცვლის სისტემების შეფასების მიზნით. ექსპერტები ასევე ესტუმრნენ საქართველო-სომხეთის საზღვარს სადახლოში, სადაც ისინი საზღვრის გადაკვეთის პროცედურის და მონაცემთა შეგროვების მექანიზმებს დააკვირდნენ. მისიის დასასრულს მიგრაციის საკითხთა სამთავრობო კომისიის მონაცემთა მართვის სამუშაო ჯგუფის დასკვნით შეხვედრა გაიმართა 26 აგვისტოს, სადაც პირველადი მიგნებები შეაჯამეს. ექსპერტებმა ასევე საქართველოს უწყებების წარმომადგენლებს შესაფერისი რეკომენდაციები წარუდგინეს. მისიის შემდგომ ეტაპზე ექსპერტები საბოლოო ანგარიშს მოამზადებენ, სადაც თავიანთ დასკვნებს და რეკომენდაციებს გადმოსცემენ.

საკონსულტაციო ტრენინგი

2014 წლის 18-25 აგვისტოს, საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრომ საკონსულტაციო ტრენინგი მოაწყო ICMPD-ის მხარდაჭერით, ENIGMMA-ს პროექტის ფარგლებში. ამ ღონისძიების შედეგად ადმინისტრაციული პრაქტიკები უფრო გაუმჯობესდა ეფექტური საკანონმდებლო ჩარჩოს შექმნის და მიგრაციის პროცესების რეგულირებისთვის ქვეყანაში, „უცხოელების და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ საქართველოს ახალი კანონის მიღების შედეგად. საქართველოს სავიზო პოლიტიკაში ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ცვლილებაა ის ფაქტი, რომ ვიზების გაცემა საზღვარგარეთ არსებული საქართველოს საკონსულოების ექსკლუზიური მოვალეობა გახდა. ამის გათვალისწინებით, საკონსულტაციო საკითხებზე ტრენინგის გამართვა საზღვარგარეთ მომუშავე საქართველოს საკონსულტაციო თანამშრომლებისათვის უკიდურესად მნიშვნელოვანი და ძალიან დროული აღმოჩნდა, რადგანაც პოლიტიკურმა ცვლილებამ შეიძლება გარკვეული სირთულეები გამოიწვიოს, განსაკუთრებით კი საწყის ეტაპზე. ტრენინგი თანამშრომლურ გარემოში გაიმართა, სადაც მონაწილე მხარეები იყვნენ: ENIGMMA-ს პროექტის ფარგლებში მოწვეული საერთაშორისო ექსპერტები, ქართველი ექსპერტები და საერთაშორისო ორგანიზაციები, როგორცაა ICMPD და IOM. სავიზო განაცხადების განხილვისას საჭირო საოპერაციო ინსტრუქციების მიღება და ამასთანავე, ევროკავშირის შესაბამისი წევრი ქვეყნების გამოცდილების გაზიარება დაეხმარება საქართველოს სამომავლოდ სავიზო პოლიტიკის ეფექტიან გატარებაში.

სტაჟირება ICMPD-ში

2014 წლის 25 აგვისტოდან 19 სექტემბრამდე ICMPD-ის ვენაში მდებარე სათაო ოფისში, ENIGMMA-ს პროექტით ორგანიზებული იქნა კვლევითი შესაძლებლობების განვითარების სტაჟირების და გაცვლითი პროგრამა. საქართველოდან



მიწვეული იქნა ოთხი მკვლევარი, რომლებსაც ერთობლივად უნდა მოემზადებინათ ანგარიში საქართველოში მიგრაციის მხრივ არსებული სიტუაციის შესახებ. ორი მონაწილე მიგრაციის საკითხთა სამთავრობო კომისიის საპილოტე ანალიტიკურ განყოფილებას წარმოადგენდა, რომელიც ENIGMMA-ის პროექტის მიერ შეიქმნა, ხოლო დანარჩენი ორი - თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტიდან იყვნენ. პროგრამის მიზანი იყო პრაქტიკული ცოდნის დაგროვება და საუკეთესო პრაქტიკის გადაცემა, ასევე შესაძლებლობის შექმნა სტაჟიორებისთვის, რომ საერთაშორისო გარემოში, პირველწყაროდან მიეღოთ გამოცდილება შესაბამის საკითხებზე, შემდეგ კი მნიშვნელოვანი კონტაქტები შეეძინათ და კავშირები დაემყარებინათ. ანგარიშზე მუშაობის გარდა,



დაფინანსებულია ევროკავშირის მიერ



მიზანი, რომელიც მარტივად შეიძლება ვაცნობოთ სამიზნე აუდიტორიას, ვინც ჩემთვის მიგრაციის სპეციალისტები არიან ყველა მონაწილე ქვეყანაში. მე არ ვფიქრობ, რომ ამ პროცესმა მიმართულება უნდა შეიცვალოს - ჯერ კიდევ ბევრი სამუშაოა შესასრულებელი - უბრალოდ, კიდევ უფრო უნდა დაიხვეწოს სპეციალისტების ჩართვის გზა სახელმწიფოებში, ასევე, მაგალითად, ევროკომისიაში. შესაძლოა, რომ ამ პროცესმა უფრო სწრაფად უნდა მოახდინოს რეაგირება ირგვლივ განვითარებულ მოვლენებზე და, საჭიროებიდან გამომდინარე, სპონტანური საკონსულტაციო განხილვები მოაწყოს მწვავე საკითხებზე. თუმცა, ამისთვის მას უფრო მოქნილი დაფინანსების ბაზა უნდა ჰქონდეს, ევროკომისიის მიერ ამჟამად გამოყოფილი საკმაოდ ფინანსური დახმარების გარდა.

შენიშვნა: წინამდებარე ინტერვიუს ნაწილი გამოქვეყნებულია „პრადის პროცესის“ „კვარტალურ მიმოხილვაში“ #3.

ICMPD-ის მთავარი აქტივობები საქართველოსა და რეგიონში

EUROMED-ის რეგიონული შეხვედრა ბერლინში

ბერლინში გამართული EUROMED-ის რეგიონული შეხვედრა მიგრაციის პროფილის პროცესს, კონკრეტულად კი მის კოორდინაციის და მონაცემთა შეგროვების ასპექტებს მიეძღვნა. აღნიშნულ შეხვედრაში ევროკავშირის მეზობელი ქვეყნები - ალჟირი, პალესტინა, იორდანია, ტუნისი, მაროკო და ეგვიპტე მონაწილეობდნენ. ყველა ქვეყანა მაღალი დონის საჯარო ოფიციალური პირებით იყო წარმოდგენილი, რომლებიც თავიანთ ქვეყნებში მიგრაციის პროფილის შემუშავებაში მონაწილეობდნენ. ICMPD/ENIGMMA-ს მკვლევარმა, რომელიც მიგრაციის საკითხთა სამთავრობო კომისიის სამდივნოში მუშაობს, სამუშაო შეხვედრის ერთი სესია წაიყვანა, რათა მიგრაციის პროფილის შემუშავების კოორდინაციის პროცესში საქართველოს გამოცდილება წარმოედგინა. საქართველოს მაგალითი მონაწილეებმა და ორგანიზატორებმა კარგად მიიღეს. მათი აზრით, ეს ძალიან საინტერესო, რელევანტური იყო და საქართველოს წარმომადგენლები EUROMED-ის შემდეგ რეგიონულ სამუშაო შეხვედრაზე მიიწვიეს იორდანიაში.

დისტანციური კურსი მიგრაციის და თავშესაფრის თემაზე

დისტანციურ კურსებზე საბუთების შემოტანა დაწყებულია, რაც მონაწილეებს მიგრაციის საბაზისო საკითხებს გააცნობს, რაშიც შედის მიგრაციის მიზეზები და შედეგები, ასევე თუ რა გზებით უნდა გავარჩიოთ მიგრაციის სხვადასხვა ფორმები. კურსი გათვლილია პრაქტიკოსებზე, პროფესიონალებსა და სტუდენტებზე, რომლებსაც (ი)მიგრაციასა და თავშესაფრის სფეროში ცოდნის მიღება სურთ. კურსს ICMPD-ის კვლევითი პროგრამის მენეჯერი ბ-ნი ალბერტ კრეილერი გაუძღვება. კურსის 2015 წლის 28 იანვრიდან 10 მარტამდე გასტანს. კურსის შესახებ დამატებითი ინფორმაციისთვის, რეგისტრაციის საკითხების ჩათვლით, ICMPD-ის ვებგვერდს ეწვიეთ (www.icmpd.org)

პრადის პროცესი

2014 წელს „პრადის პროცესი“ თავის პირველ მნიშვნელოვან წლისთავს აღნიშნავს: უკვე ხუთი წელი გავიდა მისი შექმნის და „მიგრაციის პარტნიორობის ჩამოყალიბების“ ერთობლივი დეკლარაციის მიღების შემდეგ სამინისტროების პირველ კონფერენციაზე, რომელიც პრადაში, 2009 წლის აპრილში გაიმართა მაშინ, როცა ევროკავშირის საბჭოს თავმჯდომარე ჩეხეთი იყო. პრადის პროცესის მესამე კონფერენცია 2016 წლისთვისაა

დაგეგმილი და, შესაბამისად, მონაწილე ქვეყნებს ორი წელი აქვთ დარჩენილი, რათა პრადის პროცესის სამომავლო მიმართულებები განიხილონ. წინამდებარე აღნიშნული კონფერენციის მოსამზადებელი სამუშაოები ბერლინში, 28-29 ოქტომბერს გასამართ „მაღალჩინოსნების შეხვედრაზე“ დაიწყება, რასაც თან მოჰყვება მთელი რიგი ასეთი რეგულარული შეხვედრები მაღალჩინოსნებს შორის: ამ შეხვედრების დროს პრადის პროცესის 2012-2016 წწ სამოქმედო გეგმის განხორციელება შეფასდება და შემოთავაზებული იქნება სამომავლო ქმედებები მომავალი წლებისთვის, რაც შეთანხმდება და დოკუმენტურად გაფორმდება, რათა მინისტრებმა ის 2016 წელს დაამტკიცონ. პრადის პროცესის სამდივნოს ფუნქციები ICMPD-ს აქვს გადაცემული. საქართველო პრადის პროცესში 2009 წლიდან მონაწილეობს, მას შემდეგ, რაც ქვეყანამ „ერთობლივ დეკლარაციას“ მოაწერა ხელი, სადაც პრადის პროცესის პრინციპებია დადგენილი.

ERGEM

საინფორმაციო დღე ათენში

მეორესაინფორმაციოდღე ათენში 2014 წლის 2 ნოემბერს გაიმართა, საბერძნეთში არსებული მრავალი დიასპორის ორანიზაციის მოთხოვნით. აღნიშნულ ღონისძიებას კოორდინაცია დიასპორის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატმა გაუწია, ERGEM-ის ჯგუფთან მჭიდრო კოორდინაციით. ის ბერძნულ-ქართული კულტურის ასოციაციაში გაიმართა, რომელიც აქტიური და ცნობილი ქართული დიასპორა და საკონსულტაციო ორგანიზაციაა. ღონისძიებაში მონაწილეთა შორის იყვნენ ICMPD/ERGEM პროექტის ჯგუფი და საქართველოს სამთავრობო უწყებების წარმომადგენლები, კერძოდ, დიასპორის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი, სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო და იუსტიციის სახლი (იუსტიციის სამინისტრო), საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრო, საგარეო საქმეთა სამინისტრო, შინაგან საქმეთა სამინისტრო, ეკონომიკის სამინისტრო და განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო. კონსულტაციების გარდა, საინფორმაციო დღის ფარგლებში წარმოდგენილი იყო ქართული სიმღერები და ცეკვები ბავშვების შესრულებით, ხელოვნების ნიმუშები და ხელნაკეთი ნივთები, ასევე გაიმართა ქართული საკვების დეგუსტაციაც. ღონისძიებას ათენში მყოფი ქართველი მიგრანტები და დიასპორის წარმომადგენლები დაესწრნენ.

მოხილული კონსულტაციის ორგანიზების გზამკვლევი დიასპორისთვის

პროექტის ERGEM გზამკვლევი კიდევ უფრო მეტი საინფორმაციო ღონისძიებების გასამართავად პროექტის საბოლოო შედეგს წარმოადგენს. მასში გათვალისწინებულია გერმანიაში, საბერძნეთსა და თურქეთში 2014 წლის ზაფხულში გამართული სამი საინფორმაციო ღონისძიების შედეგად მიღებული გამოცდილება. საინფორმაციო ღონისძიებების მიზანია სერვისების დაკონსულტაციების მიწოდება ამ ქვეყნებში მცხოვრები ქართველი ემიგრანტებისთვის საქართველოს სახელმწიფო უწყებების მიერ. გზამკვლევაში აღწერილია ყველა ნაბიჯი იმისთვის, თუ როგორ უნდა მოხდეს საინფორმაციო ღონისძიებების ორგანიზება, განხორციელება და შეფასება შემდეგი მიზნების მისაღწევად:

- ა) უფრო მეტი სერვისების და ინფორმაციის მიწოდება ემიგრანტებისა და დიასპორის თემებისთვის საზღვარგარეთ;
- ბ) ინფორმაციის შეგროვების და ანალიზის გაუმჯობესება,



დაფინანსებულია ევროკავშირის მიერ



საპილოტე სქემა ევროკავშირის პროექტის ნაწილია, რომლის მიზანია წარმოქმნას მექანიზმები და ბალანსებული მიგრაციის გზით მდგრადი განვითარების მისაღწევად, საქართველო-ევროკავშირის ინიციატივის „პარტნიორობა მობილურობისთვის“ ფარგლებში.

წყარო: http://migration.commission.ge/index.php?article_id=1&clang=1

შინაგან საქმეთა სამინისტროს მიგრაციის დეპარტამენტის შექმნა



2014 წლის აგვისტოში შინაგან საქმეთა სამინისტროს შემადგენლობაში მიგრაციის დეპარტამენტი შეიქმნა. დეპარტამენტის მიზანია 2014 წლის 1 სექტემბერს ძალაში შესული საქართველოს კანონის „უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ ეფექტურად და ეფექტიანად განხორციელება. მიგრაციის დეპარტამენტის მთავარ ფუნქციებში შედის საქართველოს ტერიტორიაზე არაღელვარად მყოფი უცხოელების გამოვლენა, სამართლებრივი სტატუსის დადგენა, მათი განსახლების და გაძევების პროცედურების განხორციელება. დეპარტამენტი იმავე შენობაშია, სადაც დროებითი განთავსების ცენტრი მდებარეობს, რომელიც თბილისში, თბილისის საერთაშორისო აეროპორტთან ახლოს არის აშენებული. განთავსების ცენტრი 80 ადამიანზეა გათვლილი, სადაც ცალკე ნაკადებად შედიან მამაკაცები და ქალები. აქვეა ოჯახის განთავსების და სხვა განყოფილებები, რომლებიც განთავსებული პირების მიერ შეიძლება იქნას გამოყენებული როგორც სასაძილო ოთახი, სამლოცველო, ბიბლიოთეკა, კომპიუტერის ოთახი, სპორტული და ბავშვთა სათამაშო მოედანი ეზოში და ა.შ. ICMPD-სა და მიგრაციის დეპარტამენტის მენეჯმენტის მიერ მიღწეული შეთანხმების შესაბამისად, პროექტის ENIGMMA დახმარებით ამაღლდება ცენტრის თანამშრომლების შესაძლებლობები მიგრანტების ადამიანის უფლებების დაცვის სფეროში, დეპარტამენტის კომპეტენციით გათვალისწინებული პროცედურების ფარგლებში.

ინტერვიუ ICMPD-ის აღმოსავლეთის მიმართულების დირექტორთან მარტინ პლაიმთან

დასაწყისი იხილეთ პირველ გვერდზე

ბ-ნი მარტინ პლაიმი: თავდაპირველად, პრადის კონფერენციის მიზანი იყო გარკვეული ფარგლების დადგენა ყველა მონაწილე სახელმწიფოსთვის, როგორცაა ბუდაპეშტის პროცესი, ევროკავშირის დიალოგები ინდივიდუალურ ქვეყნებსა და სხვა. მე ამის მიმართ დიდი მოლოდინი მქონდა: დასკვნები ძალიან კარგად იყო გაკეთებული, მიგრაციის ყველა სფეროს მოიცავდა და ყველა ქვეყანასთან გამართული კონსულტაციების შედეგად იყო შემუშავებული. თუმცა, შემდგომ ეტაპზე განხორციელებული პირველი პროექტის მიმდინარეობისას ნათელი გახდა, რომ ბევრ სახელმწიფოს უფრო სტრუქტურული დიალოგი უნდოდა, ხოლო პრადის პროცესი, როგორც მას უწოდებდნენ, მიგრაციის შესახებ გამართულ დიალოგს დამატებით ღირებულებას შესძენდა, ბუდაპეშტის პროცესთან ერთად.

შეკითხვა: თქვენი აზრით, რა სარგებელი მოაქვს პრადს პროცესის ფორმატს სახელმწიფოებისა და პრაქტიკოსებისთვის, მიგრაციის საკითხების განხილვის და თანამშრომლობის მხრივ?

ბ-ნი მარტინ პლაიმი: პრადის პროცესის რეალური ინოვაცია

იყო ის, რომ პრაქტიკულად ერთმანეთთან დააკავშირა აქტიური დიალოგი, კვლევა და შესაძლებლობის განვითარება. სხვათა შორის, მიგრაციის პროფილების განვითარების გზით, პრადის პროცესმა უნიკალური ცოდნის ბაზა ჩამოაყალიბა მიგრაციის და მიგრაციის მართვის სტრუქტურების შესახებ და ამ ინფორმაციას ის ყველა სახელმწიფოს ინტერესებში იყენებს. სახელმწიფოების მიერ განხორციელებული სხვადასხვა საპილოტე პროექტი კიდევ უფრო მეტად უწყობს ხელს ქვეყნებს შორის კარგი პრაქტიკების გაზიარებას მიგრაციასთან დაკავშირებული ძალიან კონკრეტული საკითხების შესახებ. ამ მხრივ ეს პროცესი არა მარტო პოლიტიკის განმსაზღვრელ პირებს უყრის თავს, არამედ ასევე მომუშავე პერსონალსაც, რაც დიალოგის ზეგავლენას კიდევ უფრო ზრდის.

შეკითხვა: პრადის პროცესის რომელი სახის ღონისძიებები არის თქვენი აზრით ყველაზე ეფექტური (სემინარები, სამუშაო შეხვედრები, სასწავლო ვიზიტები, ტრენინგები, ადგილობრივი დონეზე საკონტაქტო პირების (NCP) შეხვედრები და ა.შ.)?

ბ-ნი მარტინ პლაიმი: საკითხი არ დგას ისე, თუ რომელი ღონისძიება არის ყველაზე ეფექტური. აქ მნიშვნელოვანი არის ის, რომ ამ ღონისძიებებმა ერთმანეთი მაქსიმალურად შეავსონ. მონაწილე სახელმწიფოებმა და სამდივნომ მუდმივად უნდა მიაწოდონ ინფორმაცია არა მარტო ინდივიდუალური ღონისძიებების ძლიერი და სუსტი მხარეების შესახებ, არამედ განსაკუთრებით იმაზე, თუ როგორ არის დაკავშირებული ყველა ღონისძიება და ამ პროცესში ღონისძიებები საჭიროებებს მოარგონ ხოლმე. როგორც ზემოთაა აღწერილი, პრადის პროცესი ყველაზე მეტად იმით არის ფასეული, რომ ის ყველა სხვადასხვა ტიპის ღონისძიებას აერთიანებს და უზრუნველყოფს, რომ შედეგები ფართოდ იქნას გამოყენებული მიგრაციის სპეციალისტების, პოლიტიკის განმსაზღვრელი და სხვა პირების მიერ - არა მარტო პროცესის განმავლობაში, არამედ ასევე პრადის პროცესის მიღმა.

შეკითხვა: რას ნიშნავს პრადის პროცესი საქართველოსთვის?

ბ-ნი მარტინ პლაიმი: საქართველო პრადის პროცესის აქტიური მონაწილეა. ეს ფასეული დიალოგია ქვეყნისთვის, სადაც მთავარი საპილოტე პროექტები ხორციელდება არაღელვარად და კანონიერი მიგრაციის, ასევე მიგრაციის და განვითარების (განსაკუთრებით კი ცირკულარული მიგრაციის), თავშესაფრის და საერთაშორისო დაცვის მიმართულებით. საქართველო აქტიურად მონაწილეობს ყველა საპილოტე პროექტში, რადგანაც ეს სრულად ასახავს ქვეყანაში მიგრაციის სფეროში არსებულ პრიორიტეტებს. კიდევ ერთი მნიშვნელოვანი საკითხია საქართველოს გაფართოებული მიგრაციის პროფილი. მისი მონაწილეობა ასევე ფასეულია სხვა მონაწილე სახელმწიფოებისთვის, განსაკუთრებით კი იმ დიდი გამოცდილების გამო, რაც საქართველომ ბოლო წლების მანძილზე დააგროვა ახალ მოთხოვნებზე მიგრაციის მართვის სტრუქტურების მორგების შედეგად. საქართველოში ამ ბოლო პერიოდში განხორციელებულ რეგულატორ ღონისძიებებში შედის სამუშაო შეხვედრები, სასწავლო ვიზიტები და სხვა გაცვლითი აქტივობები საპილოტე პროექტის ფარგლებში. ქართველი მონაწილეებიც ასევე აქტიური წარმომადგენლები და ღირებულებები პარტნიორობის არაოფიციალურ პირებთან და ძირითად ჯგუფებთან შეხვედრის განმავლობაში.

შეკითხვა: როგორ ხედავთ პრადის პროცესის მომავალს? რა მიმართულებით უნდა წავიდეს პრადის პროცესი მომავალში?

ბ-ნი მარტინ პლაიმი: ზოგჯერ მიჩნდება აზრი, რომ პრადის პროცესს აკლია აღწერითი ნაწილი, უფრო მეტი ხელშესახები



დაფინანსებულია ევროკავშირის მიერ



ორი ეტაპისგან შედგება: პირველი ეტაპი საერთო პოლიტიკის ჩარჩოს ეხება (კანონმდებლობა და ინსტიტუტები), რამაც გზა უნდა გაუკვალოს მეორე ფაზას, რაც შესაბამისი ღონისძიებების ეფექტურად და მდგრადი სახით განხორციელებას უკავშირდება.

წყარო: http://ec.europa.eu/index_en.htm

კანონ ქვემდებარე აქტები უცხოელების სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ

საქართველოს ახალი კანონი „უცხოელებისა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ საქართველოს პარლამენტმა 2014 წლის მარტში მიიღო და ის ძალაში 2014 წლის 1 სექტემბერს შევიდა. ამ კანონით მნიშვნელოვანი ცვლილებები შედის საქართველოს სავიზო პოლიტიკაში და რამდენიმე ახალი პროცედურა იწერება. 2014 წლის 7 თებერვალს, მიგრაციის საკითხთა სამთავრობო კომისიის მე-10 სხდომაზე მიღებული გადაწყვეტილების თანახმად, კანონის ძალაში შესვლამდე სამუშაო ჯგუფი შეიქმნა, რომელიც პასუხისმგებელია შესაბამისი ღონისძიებების დაგეგმვასა და განხორციელებაზე. ამ ჯგუფის წევრები არიან სახელმწიფო უწყებების წარმომადგენლები, რომლებიც საქართველოში მიგრაციის მართვას ახორციელებენ: შინაგან საქმეთა სამინისტრო, საგარეო საქმეთა სამინისტრო, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო, ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრო, სახელმწიფო მინისტრის აპარატი ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში და სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო.

შესაბამისად, საქართველოში მიგრაციის მართვის საკითხებზე მომუშავე სხვადასხვა სახელმწიფო უწყებებმა ექვსი კანონ ქვემდებარე აქტი შეიმუშავეს და მთავრობას წარუდგინეს, რასაც მხარს უჭერდნენ ENIGMMA-ს პროექტის ექსპერტები. კანონ ქვემდებარე აქტები 2014 წლის 1 სექტემბერს დაამტკიცეს. ახალი კანონმდებლობა შემდეგ საკითხებს აწესრიგებს: საქართველოს ვიზის გაცემის პროცედურები, ვიზის მოქმედების ვადის გაგრძელება და შეწყვეტა; იმ ქვეყნების ჩამონათვალი, რომელთა მოქალაქეებს საქართველოში უვიზოდ შემოსვლა შეუძლიათ; საქართველოში ბინადრობის ნებართვის გაცემის საკითხის განხილვის და გადაწყვეტის პროცედურები; საქართველოდან უცხოელების გაყვანის პროცედურები; უცხოელების დაკავების და მათ დროებით საცხოვრებელ ცენტრებში მოთავსების პროცედურები; ასევე მოქალაქეობის არმქონე პირების სტატუსის განსაზღვრის პროცედურები საქართველოში. ამის პარალელურად, დებულებების სათანადო განხორციელებისთვის შემუშავებული იქნა სხვადასხვა შიდა საკანონმდებლო აქტები (მინისტრის დადგენილებები), როგორიცაა: ვიზის განაცხადის ფორმა, ვიზის სტიკერი და ა.შ.

„წარმოშობის ქვეყნის შესახებ ინფორმაციის მოპოვების განყოფილების“ (COI) შექმნა იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროში



2014 წლის იანვარში საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროში „წარმოშობის ქვეყნის შესახებ ინფორმაციის

მოპოვების განყოფილება“ (COI) შეიქმნა, რომლის მიზანია საქართველოში თავშესაფრის მაძიებელ პირთა წარმოშობის ქვეყნის შესახებ მონაცემების შეგროვება, დამუშავება და

ანალიზი. 2014 წლის ივნისში „წარმოშობის ქვეყნის შესახებ ინფორმაციის მოპოვების განყოფილებისთვის“ სტანდარტული საოპერაციო პროცედურების პროექტი შემუშავდა და გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიატის (UNHCR) თბილისის ოფისს გადაეგზავნა რეკომენდაციებისთვის. განყოფილების წევრებმა სამი ინტენსიური დისტანციური სასწავლო კურსი გაიარეს, კერძოდ: ევროპის თავშესაფრის კურიკულუმის კურსი - წარმოშობის ქვეყნის შესახებ ინფორმაციის მოპოვების მეთოდების შესახებ, რომელიც UNHCR-ის მიერ იყო ორგანიზებული (EASO მოდული წარმოშობის ქვეყნის შესახებ ინფორმაციის თაობაზე), დოკუმენტის შედგენის და გადაწყვეტილების მიღების პროცესის კურსი და ასევე მესამე კურსი მოდულზე „ინკლუზია“, რომელიც ადგილობრივმა (EASO-ს მიერ სერთიფიცირებულმა) ექსპერტებმა ჩაატარეს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროდან, UNHCR-ის ფინანსური მხარდაჭერით. 2014 წლის 22-26 სექტემბერს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს „წარმოშობის ქვეყნის შესახებ ინფორმაციის მოპოვების განყოფილების“ პერსონალისთვის თბილისში ტრენინგი გამართა ENIGMMA პროექტის ფარგლებში, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს წარმოშობის ქვეყნის შესახებ ინფორმაციის მოპოვების ექსპერტებმა შემდეგი ორგანიზაციებიდან: პოლონეთის უცხოელთა საკითხების ოფისი, ICMPD, თავშესაფრის კომპეტენციის ცენტრი და UNHCR-ის წარმომადგენლობა საქართველოში.

წყარო: <http://www.mra.gov.ge/>

საქართველოში ევროკავშირის დელეგაციის ახალი ხელმძღვანელი დაინიშნა

საქართველოში ევროკავშირის დელეგაციის ახალ ხელმძღვანელად უნგრელი დიპლომატი იანოს ჰერმანი დაინიშნა. ჰერმანმა ამ თანამდებობაზე ფილიპ დიმიტროვი შეცვალა, რომელიც საქართველოში ევროკავშირის წარმომადგენელი იყო 2010 წლიდან. 2014 წლის 17 ოქტომბერს, საქართველოში ევროკავშირის დელეგაციის ხელმძღვანელმა ელჩმა იანოს ჰერმანმა საქართველოს პრეზიდენტს, გიორგი მარგველაშვილს რწმუნების სიგელი გადასცა.

წყარო: http://eeas.europa.eu/delegations/georgia/index_en.htm

საერთაშორისო მიგრაციისა და განვითარების ცენტრის / მიგრაციის საკითხთა სამთავრობო კომისიის (CIM/SCMI) პროექტი ცირკულარული მიგრაციის საკითხებში

იწყება ცირკულარული მიგრაციის პროექტი საქართველოსა და გერმანიას შორის. პროექტს საერთაშორისო მიგრაციის და განვითარების ცენტრი (CIM) ახორციელებს, სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოსთან / საქართველოს მიგრაციის საკითხთა სამთავრობო კომისიის სამდივნოსთან თანამშრომლობით. ამ პროექტის ფარგლებში 30-ზე მეტი ქართველი მედდა და კლიენტთა მომსახურების სფეროს სპეციალისტი შეირჩა გერმანიაში გასაგზავნად. შერჩეულმა მონაწილეებმა თბილისის გოეთეს ინსტიტუტში გერმანული ენის ექვსთვიანი ინტენსიური კურსები გაიარეს. აღნიშნული კურსები ისეა შედგენილი, რომ კანდიდატებმა ენის ცოდნა აიმაღლონ, რაც საჭიროა გერმანიაში შესაფერისი სამუშაოების წარმატებით შესასრულებლად, პროფესიული და კულტურული საორიენტაციო კომპონენტების ჩათვლით. ამას გარდა, საზღვარგარეთ სამუშაოს უმტკივნეულოდ დაწყებისა და წარმატებით ინტეგრაციის მიზნით, მონაწილეები თავიანთი სპეციალობის შესაბამის ერთკვირიან მოსამზადებელ ტრენინგებს გაივლიან. ცირკულარული მიგრაციის



დაფინანსებულია ევროკავშირის მიერ



კონფლიქტის მშვიდობიანი მოგვარება, ასევე თანამშრომლობა მართლმსაჯულების, თავისუფლების და უსაფრთხოების სფეროებში. ასოცირების დღის წესრიგი ასევე მოიცავს ეკონომიკის და სავაჭრო ელემენტებს, რომელთა შორისაა ცალკე მიმართულება „ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცე“ და თანამშრომლობა მთელ რიგ სექტორებში, როგორცაა ენერგეტიკა, ტრანსპორტი, დასაქმება და სოციალური პოლიტიკა. ევროკავშირი საქართველოს სხვადასხვა გზით დაუჭერს მხარს „ასოცირების დღის წესრიგის“ განხორციელებაში, რაშიც შედის ფინანსური დახმარება, ტექნიკური ექსპერტიზა და კონსულტაცია, ინფორმაციის გაზიარება და შესაძლებლობების განვითარება.

ანტიდისკრიმინაციული კანონი

2014 წლის 2 მაისს საქართველოს პარლამენტმა კანონი „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ (შემდგომში „ანტიდისკრიმინაციული კანონი“) და შესაბამისი დებულებები მიიღო. აღნიშნული კანონის მიღება იმ ვალდებულებებს შორის იყო, რაც საქართველომ ევროკავშირსა და საქართველოს შორის სავიზო რეჟიმის ლიბერალიზაციის სამოქმედო გეგმის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად აიღო. თუმცა, ანტიდისკრიმინაციული კანონის მიღება მნიშვნელოვანია არა მხოლოდ სავიზო რეჟიმის ლიბერალიზაციის სამოქმედო გეგმის განხორციელებისთვის: საერთაშორისო საზოგადოების შეფასებით, ანტიდისკრიმინაციული კანონის მიღება დადებითი ნაბიჯია ქართულ საზოგადოებაში ადამიანის უფლებების უფრო მაღალი სტანდარტების და თანასწორობის დამკვიდრებისთვის. თავად კანონის მიზანია დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრა და თანაბარი უფლებების უზრუნველყოფის მიერ ფიზიკური და იურიდიული პირისთვის საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით, რასის, კანის ფერის, ენის, სქესის, ასაკის, მოქალაქეობის, წარმოშობის, დაბადების ან საცხოვრებელი ადგილის, ქონებრივი ან სოციალური სტატუსის, რელიგიის ან რწმენის, ეროვნების, ეთნიკური ან სოციალური წარმოშობის, პროფესიის, ოჯახური მდგომარეობის, ჯანმრთელობის, შეზღუდული შესაძლებლობის, სექსუალური ორიენტაციის, გენდერული იდენტობის და გამოხატვის, პოლიტიკური თუ სხვა შეხედულებების, ან სხვა თვისებების მიუხედავად.

ასოცირების ხელშეკრულება - მითები და ფაქტები

მითი: „ასოცირების შესახებ შეთანხმებაზე ხელმოწერა ქართულ კულტურას და ტრადიციულ ფასეულობებს საფრთხეს უქმნის“.

ფაქტი: სრულიადაც არა. ევროკავშირი არ ცდილობს ვინმეს კულტურა შეცვალოს. პირიქით, ის ევროპული კულტურის მრავალფეროვნების შენარჩუნებაზე ზრუნავს. ევროკავშირი ის ორგანიზაციაა, რომელიც განსხვავებებს პატივს სცემს; ბოლოს და ბოლოს, ჩვენი დევიზი ხომ არის „გაერთიანდი მრავალფეროვნებით“. ევროკავშირი ქართულ კულტურულ ფასეულობებს პატივს სცემს და გვჯერა, რომ ასოცირების შესახებ შეთანხმება მათ დაცვას ხელს შეუწყობს.

მითი: „შეთანხმება საქართველოს მცირე სარგებელს მოუტანს და ის უბრალოდ დამატებით მოთხოვნებს გვაკისრებს“.

ფაქტი: არანაირად; შეთანხმება საქართველოს ბევრ ხელშესახებ სარგებელს მოუტანს. დროთა განმავლობაში, ასოცირების შესახებ შეთანხმებას შეუძლია მნიშვნელოვნად გააუმჯობესოს ქართველების ცხოვრების ხარისხი, განსაკუთრებით დემოკრატიის გაძლიერებით, უფრო მეტი პოლიტიკური, ეკონომიკური და ინსტიტუციური სტაბილურობით და ასევე უფრო ძლიერი და წარმატებული ეკონომიკით. პროგნოზის მიხედვით, ეკონომიკური ზრდა წელიწადში 4.3% იქნება.

მითი: „ასოცირების შესახებ შეთანხმება საქართველოს ეკონომიკას ზიანს მოუტანს“.

ფაქტი: პირიქით, საქართველო რეალურად სარგებელს მიიღებს ახალი სავაჭრო შესაძლებლობებით და ევროკავშირის ბაზარზე უფრო მარტივად წვდომით. შეთანხმება საქართველოს ეკონომიკას შესაძლებლობას შეუქმნის, რომ ევროკავშირს დაეწიოს კონკურენციის მხრივ და, შესაბამისად, თანდათანობით დაიმკვიდროს თავისი ადგილი მსოფლიო ეკონომიკაში. ეს ახალ შესაძლებლობებს შეუქმნის არა მარტო ევროკავშირსა და საქართველოს შორის ვაჭრობისთვის, არამედ ასევე გაიზრდება საქართველოს მხრიდან ვაჭრობა დანარჩენ მსოფლიოსთან, თუკი გავითვალისწინებთ, რომ ევროკავშირის ნორმები და სტანდარტები მთელს მსოფლიოშია აღიარებული. აღნიშნული სტანდარტების გამოყენება ქართველ მომხმარებელს გაცილებით მეტი არჩევანის გაკეთების შესაძლებლობას უქმნის და უფრო მაღალი ხარისხის პროდუქციას სთავაზობს მათ. ამასთან ერთად, საქართველო უფრო მომხიბვლელი ადგილი ხდება უცხოელი ინვესტორებისთვის. ყველაზე სენსიტიური სექტორები სარგებელს მიიღებენ ხანგრძლივი გარდამავალი პერიოდებისგან, რათა საქართველოს ეკონომიკის უმტკივნეულო ადაპტაცია უზრუნველჰყონ.

მითი: „ევროპიდან შემოტანილი სურსათი სოფლის მეურნეობის პროდუქტების ქართველ მწარმოებლებს გაანადგურებს“.

ფაქტი: სასოფლო-სამეურნეო სექტორში უკვე ხორციელდება ექსპორტი ევროკავშირიდან საქართველოში და ამით არ ჩანაცვლებულა ისეთი ადგილობრივად წარმოებული პროდუქცია, როგორცაა ქართული ღვინო, ყველი, ხილი ან ბოსტნეული. მომხმარებელთა განსხვავებული პრეფერენციების გარდა (მაგ. გემოვნება) ევროკავშირში სასურსათო პროდუქტების წარმოების მაღალი ფასის გამო საქართველო საინტერესო ბაზარი ნამდვილად ვერ გახდება. უფრო მეტიც, იმპორტირებულმა პროდუქციამ კონკურენცია უნდა გაუწიოს ადგილზე წარმოებულ უფრო იაფ პროდუქციას, რომელიც ადგილობრივ გემოვნებას უფრო მეტად აკმაყოფილებს. შესაბამისად, ევროკავშირსა და საქართველოს შორის ვაჭრობის გაზრდა ავტომატურად ნამდვილად არ წარმოქმნის იმის რისკს, რომ დიდი რაოდენობით ევროპული საქონლის შემოღობვა მოხდება. ამჟამად, ევროკავშირიდან საქართველოში განხორციელებულ ექსპორტში უმნიშვნელო რაოდენობის ბოსტნეული, ხილი, ყავა და მარცვლეული შედის. ასევე მინიმალური რაოდენობით გადის ექსპორტზე ხორცი, ცოცხალი პირუტყვი და ისეთი გადამამუშავებული პროდუქცია, როგორცაა კაკაო, შაქარი და მარცვლეული საკვები (სულ დაახლოებით 22 მილიონი ევრო), ან ღვინო და სპირტიანი სასმელები (36 მილიონი).

წყარო: http://eeas.europa.eu/delegations/georgia/index_en.htm

სიახლეები საქართველოში მიგრაციის საკითხების რეგულირების შესახებ

სავიზო რეჟიმის ლიბერალიზაციის სამოქმედო გეგმის განხორციელების მეორე ფაზა დაიწყო

საქართველომ სავიზო რეჟიმის ლიბერალიზაციის სამოქმედო გეგმის მეორე ფაზის განხორციელება ოფიციალურად დაიწყო. 2014 წლის 29 ოქტომბერს ევროკავშირმა მეორე ანგარიში მიიღო საქართველოს მიერ სავიზო რეჟიმის ლიბერალიზაციის სამოქმედო გეგმის განხორციელების მიმდინარეობის შესახებ, სადაც ის ასკვნის, რომ საქართველო სავიზო დიალოგის პირველი ფაზის მოთხოვნებს აკმაყოფილებს. სამოქმედო გეგმა



დაფინანსებულია ევროკავშირის მიერ



მიგრაციის საკითხებზე საინფორმაციო ბიულეტენი # 3

კვარტალური საინფორმაციო ბიულეტენი

მკითხველს მიმართული!



ICMPD ENIGMMA პროექტის გუნდი სიამაყით წარმოგიდგენთ მიგრაციის საკითხებზე საქართველოში მომზადებული საინფორმაციო

ბიულეტენის მესამე ნომერს. ბიულეტენი დაფინანსებულია ევროკავშირის აღმოსავლეთ პარტნიორობის ინტეგრაციისა და თანამშრომლობის პროგრამის, კერძოდ კი, პროექტის საქართველოში მიგრაციის მართვის გაუმჯობესება (ENIGMMA) მიერ, რომელსაც საქართველოში ახორციელებს მიგრაციის პოლიტიკის განვითარების საერთაშორისო ცენტრი (ICMPD).

საინფორმაციო ბიულეტენის მთავარი მიზანია, გააცნოს ქართველ და უცხოელ მკითხველს მიგრაციის მართვის სფეროში არსებული რეალური მდგომარეობა საქართველოში, ასევე მიგრაციის სფეროში საქართველო-ევროკავშირის თანამშრომლობა, აღწეროს ქვეყანაში მიგრაციასთან დაკავშირებით არსებული მდგომარეობა და განიხილოს სამომავლო პერსპექტივები. ჩვენ მზად ვართ, ვითანამშრომლოთ პროცესში ჩართულ და დაინტერესებულ ნებისმიერ მხარესთან და პირებთან იქნება ეს სახელმწიფო ორგანოები, საერთაშორისო და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები, სამოქალაქო საზოგადოების სხვა წევრები თუ აკადემიური წრეებისა და მედიის წარმომადგენლები. გთხოვთ, გამოგვიგზავნოთ თქვენი შენიშვნები, მოსაზრებები და კომენტარები საინფორმაციო ბიულეტენის ბოლოს მითითებულ ელექტრონულ მისამართზე. ამასთანავე, შეგიძლიათ გამოგზავნოთ თქვენი მოსაზრებები იმაზე, თუ რისი გაუმჯობესება შეიძლება.

ICMPD ENIGMMA პროექტის გუნდი

ამ ნომერში თქვენ გაეცნობით შემდეგ საკითხებს:

სიახლეები:

- ინტერვიუ ICMPD-ის აღმოსავლეთის მიმართულების დირექტორთან მარტინ პლაიმთან

ბიულეტენის მუდმივი რუბრიკები:

- ევროკავშირისა და საქართველოს ურთიერთობა
- საქართველოში მიგრაციის რეგულირების სფეროში არსებული სიახლეები
- ICMPD-ის ძირითადი საქმიანობები საქართველოსა და რეგიონში
- ENIGMMA/ERGEM-ის პროექტის ამჟამინდელი და დაგეგმილი საქმიანობები
- ვინ ვინ არის? საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო

ინტერვიუ ICMPD-ის აღმოსავლეთის მიმართულების დირექტორთან მარტინ პლაიმთან

პრადის პროცესი პოლიტიკური ფორუმია, რომელიც მიგრაციის სფეროში უფრო სიღრმისეულ თანამშრომლობას უწყობს ხელს მონაწილე სახელმწიფოებს შორის. პრადის პროცესის პარტნიორები



არიან ევროკავშირის წევრი ქვეყნები, შენგენის ზონის ქვეყნები, სამხრეთ-აღმოსავლეთი და აღმოსავლეთი ევროპა. პრადის პროცესი 2009 წელს გამართულ მინისტრიალზე დაიწყო და მისი სამდივნოს ფუნქცია ICMPD-მ აიღო, რომელიც ამ პროცესს ტექნიკურ მხარდაჭერას უწევს. 2011 წელს გამართულ პრადის პროცესის მინისტრიალზე 2012-2016 წწ სამოქმედო გეგმა დამტკიცდა.

მასში განსაზღვრულია პრიორიტეტული ღონისძიებები მიგრაციის ყველა სფეროში, რომელთა მიმართ ინდივიდუალური პროექტები, ასევე საპილოტე ღონისძიებები ხორციელდება. სამოქმედო გეგმის ფარგლებში დაახლოებით 7 საპილოტე ღონისძიება მიმდინარეობს, რომელიც უკანონო მიგრაციას, მიგრაციას და განვითარებას, ასევე თავშესაფრის საკითხებს მოიცავს. საქართველო საპილოტე ღონისძიებების უმრავლესობაში მონაწილეობს.

პრადის პროცესის მე-5 წლისთავზე ბ-ნმა მარტინ პლაიმმა, ICMPD-ის აღმოსავლეთ მიმართულების დირექტორმა, ICMPD-ის პრადის პროცესს და პროექტ ENIGMMA-ს ჯგუფს თავისი მოსაზრებები გაუზიარა პრადის პროცესის შეფასების და სამომავლო გეგმების შესახებ.

შეკითხვა: რა მოლოდინი გქონდათ პრადის პროცესის მიმართ, როცა მიგრაციის შესახებ დიალოგის დაწყების იდეა 5 წლის წინ რეალურად განხორციელდა?

გაგრძელება 4-ე გვერდზე

ევროკავშირი და საქართველო

ევროკავშირისა და საქართველოს შორის ასოცირების დღის წესრიგი

26 ივნისს ევროკავშირმა და საქართველომ ასოცირების დღის წესრიგი დაამტკიცეს, სადაც განსაზღვრულია პრიორიტეტები 2014-2016 წწ პერიოდისთვის, „ასოცირების შესახებ შეთანხმების“ განხორციელების მომზადების მიზნით. ასოცირების დღის წესრიგი ევროკავშირისა და საქართველოს შორის არსებულ ევროპის სამეზობლო პოლიტიკის 2006 წლის სამოქმედო გეგმის ადგილს იჭერს. მასში ჩამოყალიბებულია თანამედროვე პრაქტიკული ფარგლები პოლიტიკური ასოცირების და ეკონომიკური ინტეგრაციის მისაღწევად ევროკავშირისა და საქართველოს შორის. ასოცირების დღის წესრიგში გაერთიანებულია პოლიტიკური ელემენტები, რომელთა შორისაა პოლიტიკური დიალოგი, დემოკრატიული ინსტიტუტების გაძლიერებაზე ორიენტირებული რეფორმები, კანონის უზენაესობა, სასამართლო ხელისუფლების დამოუკიდებლობა და ადამიანის უფლებების პატივისცემა, თანამშრომლობა საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის საკითხებზე და



დაფინანსებულია ევროკავშირის მიერ



აქ წარმოდგენილი მოსაზრებები შეიძლება არ გამოხატავდეს ევროკავშირის მოსაზრებებს